ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 595155500

N 156
13/05/2019

156-07-3-201905131720

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ვენე კვირკველიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ განკარგულების პროექტს.

პატივისცემით,

ვერიკო კვირკველია

ვ. კვირკველია

კომისიის თავმჯდომარე

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2019 წლის აპრილი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ვენე კვირკველიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 154-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. ცნობილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ვენე კვირკველიას უფლებამოსილება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

N12
07.05.2019

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

№ 61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

განკარგულება N1/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ

ქალაქი ლანჩხუთი 2019 წლის 07 მაისი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 154 -ე მუხლის პირველი და მე - 2 პუნქტების, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 9 მარტის N15/2012 დადგენილების საფუძველზე ვადგენ:

მუხლი 1 .ცნობილ იქნეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პოლიტიკური გაერთიანების ,, ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის თორნიკე ტიკაძის (პარტიულ სიაში N 4) ადგილმონაცვლედ, ამავე პარტიული სიით წარდგენილი რიგით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატი ვენე კვირკველია (პარტიულ სიაში N 11)

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი:თბილისი ,დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3.ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ბისიეშვილი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
№61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისია

№ 13

"07" 05 2019 წ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

თქვენი მიმდინარე წლის 2 მაისის N 153 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,, საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 154-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, `N 61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიამ ადგილმონაცვლეობის შესახებ აცნობა, პოლიტიკური გაერთანების ,, ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო '' მიერ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/ თვითმმათველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის წარდგენილ პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატს, ვენე კვირკველიას, რომელმაც 2019 წლის 3 მაისს მომმართა განცხადებით, საკრებულოს წევრობაზე თანხმობის თაობაზე (რეგ. N05).

შესაბამისად, წარმოგიდგენთ პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის, თორნიკე ტიკაძის ადგილმონაცვლედ - ვენე კვირკველიას, დაბადებული - 06.04.195 წელი, მისამართი ქ.თბილისი, მუსხელიშვილის ქ.N2 პარტიულობა - უპარტიო.

დანართი 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ბისიეშვილი

ჟორდანიას ქუჩა №76, ლანჩხუთი, საქართველო
e_mail: 61_lanchkhuti@cec.gov.ge

176
07 05 19